შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ თვითრეგულირების ორგანოს -„კომისიის“ გადაწყვეტილება

თბილისი 8 თებერვალი 2019

კომისიის შემადგენლობა:

მთავარი იურისტი - თამთა მურადაშვილი

მთავარი იურისტი- დიმიტრი სამაგლიშვილი

იურისტი- დაჩი ბერუჩაშვილი

იურისტი - ლიკა მეტრეველი

დაინტერესებული პირები:
ნიკოლოზ ოდიკაძე და გიგა ბახტაძე.
კომისიის სხდომაზე გამოცხადდა ნიკოლოზ ოდიკაძე

აღწერილობითი ნაწილი

დაინტერესებული პირებისგან 2018 წლის 26 ნოემბერს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების ორგანოში შემოვიდა საჩივარი, რომელშიც აღწერილია 2018 წლის 18 ნოემბერს გადაცემაში “P.S” პირდაპირი ჩართვისას, გადაცემის 40:35 წუთზე საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლის გაშუქებაც დაინტერესებულ პირებს მიაჩნიათ ჟურნალისტური ეთიკის დარღვევად, რადგან მითითებულ დროს რესპონდენტი [მიხეილ სააკაშვილი] აკეთებს შემდეგ განცხადებას: „ეგერ ვიღაც ებრაელ აფერისტ მოშეს მისცეს მილიონ ორასი ათასზე მეტი, რომ ეს ბილბორდები დაამზადოს დაჯღანული სახეებით, რომლებიც თბილისში გამოფინეს“. დაინტერესებულ პირებს რესპონდენტის სიტყვები მიაჩნიათ ანტისემიტურ და რასისტულ განცხადებად, რომლის გაშუქებაც ტელევიზიით არის დაუშვებელი და ასევე ამ განცხადებაში ისინი ხედავენ ებრაელების მიმართ სიძულვილის აშკარა გამოხატვას. საჩივარში აღნიშნულია, რომ მაღალი პოლიტიკური გავლენის მქონე პირების მხრიდან გამოყენებული სიძულვილის ენა ხელს უშლის ტოლერანტული ღირებულებების განვითარებას საქართველოში. საჩივრის ავტორები მიუთითებენ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც: “იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას“. დაინტერესებული პირები თვლიან, რომ ამ გადაცემის

მსვლელობისას დაირღვა საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ 56-ე მუხლი, ასევე დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე და 33-ე მუხლები. დაინტერესებული პირების მიერ საჩივარში მოხმობილია სადავო განცხადებაზე არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება, რომლითაც მათ მიხეილ სააკაშვილის განცხადება შეაფასეს ანტისემიტურად.

დაინტერესებული პირის პოზიცია

განცხადების ავტორები, ბატონი ნიკოლოზ ოდიკაძე და გიგა ბახტაძე საჩივარში აღნიშნავენ, რომ დარღვეულია რამდენიმე მუხლი კერძოდ: მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელის თანახმადაც „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას“. დაინტერესებულ პირებს მიაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომელიც გავრცელდა გადაცემის „P.S" ეთერში, იყო ანტისემიტური და რასისტული, და მიმართული იყო ეთნიკური შუღლის გაღვივებასაკენ. განცხადების ავტორების აზრით ასევე დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მრავალფეროვნების, თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპებს. ასევე დარღვეულად მიაჩნიათ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რომელის მიხედვითაც "მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება" და „თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით“. განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ მაუწყებელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს მსგავსი განცხადებების აღმოფხვრას და არ მისცეს ასეთ განცხადებებს გავრცელების უფლება. დაინტერესებული პირი, თავის მხრივ განმარტავს, თუ რა არის ანტისემიტიზმი და ამბობს, რომ „ანტისემიტიზმი არის განსაზღვრული წარმოდგენები ებრაელებზე, რაც გამოიხატება ებრაელების მიმართ სიძულვილში. ანტისემიტიზმი ებრაელებს მიაწერს სტერეოტიპულ და უარყოფით თვისებებს.“ დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული ფრაზა „აფერისტი ებრაელი“ არის ანტისემიტური და გამიზნულად ნათქვამი, რათა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გავრცელებულ იქნას ნეგატიური სტიგმა.

დაინტერესებული პირის მიერ, ასევე იქნა დაფიქსირებული პოზიცია, თვითრეგულირების სხდომაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ ფრაზაში პრობლემატური სიტყვაა მხოლოდ "ებრაელი". ვინაიდან, კომისიის მიერ დასმულ შეკითხვაზე, იქნებოდა თუ არა სადავო ფრაზა

დისკრიმინაციული თუ „ებრაელის“ მაგივრად იქნებოდა ნებისმიერი სხვა ეროვნება მაგ. „ამერიკელი“, საჩივრის პირმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, ის არ ჩათვლიდა ამ ფრაზას დისკრიმინაციულად. კომისიამ დაინტერესებულ პირს ასევე დაუსვა კითხვა, ეროვნების იდენტიფიცირებასთან [როგორც ფაქტთან] დაკავშირებით. კერძოდ, რატომ შეიძლება ყოფილიყო აღქმული დისკრიმინაციულად ეროვნების იდენტიფიცირება, თუნდაც იმ პასუხიდან გამომდინარე, რომ „ამერიკელის“ შემთხვევაში, ის [დაინტერესებული პირი] არ მიიჩნევდა სადავო ფრაზას პრობლემატურად; კომისია ასევე დაინტერესდა, ეროვნების იდენტიფიცირების [როგორც ფაქტის] გაჟღერებისგან თავის არიდება, ხომ არ იძლევა საპირისპირო შედეგს და სტიგმის გაძლიერებას.

დაინტერესებული პირის პოზიციიდან გამომდინარე,, ფრაზა დისკრიმინაციული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ეს ფრაზა შეიცავს ეროვნების კონკრეტიკას (ებრაელი) და ამასთანავე მის დაკნინებას ან სიძულვილის გამოხატვას (აფერისტი), ე.ი როდესაც სახეზეა ეს ორი კომპონენტი.

დაინტერესებული პირი ასევე თვლის, რომ ფრაზა რომელიც იქნა წარმოთქმული ძლიერი პოლიტიკური გავლენის მქონე პირის მიერ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ტოლერანტული ღირებულებების განმტკიცებას საქართველოში, სადაც, ისედაც არსებობს სერიოზული პრობლემა ეთნოცენტრისტულ დამოკიდებულებებთან მიმართებაში.

დაინტერესებული პირები მოითხოვენ მათ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებას და მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას „რუსთავი2-ის“ ვებგვერდზე.

საჩივრის დასაშვებობა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლობის საქმიანობა.

კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან თვითრეგულირების მექანიზმის მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, მას, წინამდებარე საქმეზეც მიაჩნია, რომ დაშვებულ უნდა იქნეს ბატონი ნიკოლოზ ოდიკაძის და გიგა ბახტაძის საჩივარი და განხილულ იქნეს კანონმდებლობის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი

სადავო საკითხია რუსთავი 2-ის გადაცემაში „P.S" რესპონდენტის [მ. სააკაშვილი] მიერ გაჟღერებული ფრაზა და მაუწყებლის პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელი არ არის პასუხისმგებელი რესპონდენტის გამონათქვამზე.

კომისია განმარტავს, რომ სხვა პირის მიერ, რესპონდენტის, ე.ი იდენტიფიცირებულ წყაროზე გავრცელებული ინფორმაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მედიაში სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელების საკითხი. Jarsild-ისა (Jarsild v. Denmark, 1994წ.) და Thoma-ს (Thoma v. Luxsemburg, 2001წ.) საქმეებზე სასამართლომ განაცხადა, რომ "ჟურნალისტის დასჯა სხვა

პირის მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელებაში დახმარებისათვის ... სერიოზულად დააბრკოლებდა პრესას ... და არ უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ არ არსებობს განსაკუთრებით ცალსახა მიზეზები ამისათვის". შესაბამისად, დაუშვებელია ჟურნალისტის/მაუწყებლის დასჯა წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის გამო.

აზრისა და გამოხატვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო." მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მაუწყებელი არ აგებს პასუხს რესპონდენტის მიერ გამოთქმულ აზრზე, შეფასებაზე, მივიჩნევთ, რომ რესპონდენტის [მ. სააკაშვილის] მიმართ აღნიშნული ბრალდებები შესაძლოა უსაფუძვლო იყოს, განცხადებების პოლიტიკური კონტექსტიდან და პოლიტიკური სიტყვის თავისუფლებიდან გამომდინარე. თუმცა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განსახილველი არის მაუწყებლის პასუხისმგებლობის საკითხი, კომისია საჭიროდ მიიჩნევს რესპონდენტის გამონათქვამების შინაარსობრივ განხილვას.

საჩივარში მითითებულია „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე და 33-ე მუხლები, რაც დასაბუთებულია „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2-ის" გადაცემაში „P.S" გასული საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ფრაზით, რომელიც საჩივრის ავტორებმა მიიჩნიეს ანტისემიტურად. დაინტერესებული პირები თვლიან, რომ მაუწყებელს უნდა მიეღო ღონისძიებები, რათა მსგავსი სახის ტერმინები, თუნდაც რესპონდენტის მიერ, არ გავრცელებულიყო სატელევიზიო გადაცემებში. საჩივარში სადავო საკითხია ანტისემიტიზმი, რომელიც დაინტერესებულმა პირებმა დაინახეს საქართველოს მესამე პრეზიდენტის ფრაზაში „აფერისტი ებრაელი" და ამ ფრაზის გაჟღერებით ისინი ფიქრობენ, რომ დაირღვა მათ მიერ მითითებული მუხლები.

კომისიას მიაჩნია, რომ მითითებული ნორმების დარღვევის შესახებ განხილვამდე, უნდა იქნეს განხილული, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ანტისემიტიზმად.

ანტისემიტიზმი განისაზღვრება როგორც „ებრაელების მიმართ მტრობა როგორც რელიგიური ან უმცირესობათა ჯგუფის მიმართ, რომელსაც ხშირად თან ახლავს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დისკრიმინაცია"[1], ასევე, როგორც „ებრაული ერის ან რელიგიის მიმართ მტრული, უარყოფითი ან არასანდომიანი დამოკიდებულება"[2].

სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ანტისემიტიზმი განმარტებულია როგორც „რასობრივი შოვინიზმის, ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობის ერთ–ერთი უკიდურესი ფორმა. გამოიხატება ებრაელი ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ სიძულვილითა და მტრული დამოკიდებულებით. ტერმინი „ანტისემიტიზმი" შემოიღეს გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ მარმა და ფრანგმა სოციოლოგმა ერნსტ რენანმა XIX –ის 70–იან წლებში, მაგრამ თვითონ მოვლენა საუკუნეებს ითვლის – თავს იჩენს იმ დროიდან, რაც ებრაელთა დიასპორა (ძვ. წ. IV ს–დან) არსებობს....იგი [ანტისემიტიზმი] საბოლოოდ არ არის

[1] http://www.georgianjews.org/stat.php?id=573&lang=gr

[2] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98

აღმოფხვრილი და კვლავაც იჩენს ხოლმე თავს ცალკეული რეციდივების სახით...გაერომ და ევროპის საბჭომ მიიღეს სპეციალური რეზოლუციები რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და მსგავს მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპის საბჭოს სისტემაში ეს ფუნქცია ეკისრება რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართულ ევროპულ კომისიას. (ECRE)".[3]

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართულ ევროპულმა კომისიამ. პოლიტიკურ განცხადებებთან დაკავშირებით, „2005 წლის 17 მარტს მიიღო პოლიტიკურ განცხადებებში რასისტული, ანტისემიტური და ქსენოფობიური ელემენტების გამოყენების შესახებ დეკლარაცია, სადაც დაგმობილია ამგვარი ელემენტების გამოყენება პოლიტიკოსების მხრიდან და ამგვარი მოვლენები შეფასებულია, როგორც "ეთიკურად მიუღებელი"[4]".

თვითრეგულირების კომისია მოიხმობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას საქმეზე: *M'Bala M'Bala v. France,* სადაც სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფრანგული მედიის წარმომადგენლის, კომედიანტის საჩივარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. კომედიანტი დავობდა საფრანგეთის სასამართლოს მიერ გატარებულ სანქციებზე, რომელიც დაეკისრა მას კომედიურ შოუში ანტისემიტური განცხადებების გამო. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სატირა, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, დაცულია კონვენციით, კომედიანტის შოუ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ ჯდებოდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სტანდარტში, რადგან ის გასცდა გასართობი ხასიათის შოუს. გადაცემის მთლიანი კონტექსტი იყო სიძულვილისა და ანტისემიტიზმის დემონსტრირება და ჰოლოკოსტის უარყოფის ხელშემწყობი. შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია კომედიანტის საჩივარი კონვენციის მე-17 მუხლთან მიმართებაში.

ეთნიკურ სიძულვილთან დაკავშირებული საქმეებიდან კომისია ასევე მოიხმობს საქმეს *Pavel Ivanov v Russia.* აღნიშნულ საქმეში, აპლიკანტი [მომჩივანი] იყო გაზეთის მფლობელი და რედაქტორი, რომლის წინააღმდეგაც გატარდა სამართლებრივი ღონისძიებები მის მიერ მასმედიის საშუალებით ეთნიკური, რასისტული და რელიგიური სიძულვილის საჯაროდ წაქეზების გამო. აპლიკანტის ავტორობით დაიწერა და გამოიცა სტატიების სერია, სადაც ებრაელი ხალხი წარმოჩენილი იყო როგორც რუსეთში ბოროტების სათავე და მოითხოვდა მათ [ებრაელების] სოციალური ცხოვრებიდან განკვეთას. მან დაადანაშაულა მთლიანად ეთნიკური ჯგუფი რუსი ხალხის წინააღმდეგ კონსპირაციების დათესვაში და ფაშისტური იდეოლოგია თავად ებრაელ ხალხს მიაწერა. აპლიკანტი სასამართლოს წინაშე, როგორც წერილობით, ისე ზეპირ პოზიციებში, მუდმივად უარყოფდა ებრაელი ხალხის ეროვნულ ღირსებას და აცხადებდა, რომ ისინი ერად ვერ ჩამოყალიბდნენ. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე აპლიკანტი აცხადებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ მის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები არ იყო გამართლებული. სტრასბურგის სასამართლომ

---

[3] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2875; წყარო: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ. ; 23სმ. - ISBN 99940-0-877-3 : [ფ.ა.]

[4] https://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf

დაუშვებლად ცნო აპლიკანტის სარჩელი და სიძულვილის ენის გამოვლინებებს მიუსადაგა კონვენციის მე-17 მუხლში გაცხადებული უფლების ბოროტად გამოყენების პრინციპი. სასამართლოს აზრით, კონვენცია არ იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა აქტივობაც მიმართულია კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებების და პრინციპების წინააღმდეგ და აპლიკანტი, მოცემულ შემთხვევაში, ვერ ისარგებლებდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლებით (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება).

თვითრეგულირების კომისია აღნიშნავს, რომ ზემოთ მოხმობილი განმარტებები და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება თვისობრივად განსხვავებული მაგალითებია და ეხება ანტისემიტიზმთან დაკავშირებულ მკაფიო დარღვევებს; ამავე დროს არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Jersild v Denmark, სადაც სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ რესპონდენტის [რასისტული შეხედულებების მქონე ჯგუფის (greenjackets) წარმომადგენლების მიერ რასისტული განცხადებების გამო არ შეიძლება ჟურნალისტის დასჯა. კომისიას მიაჩნია, რომ დაინტერესებული პირების საჩივარი უფრო მეტად ესადაგება სწორედ საქმეს Jersild v Denmark.

საქმეში არსებული მასალის შესწავლის შემდეგ, კომისიას მიაჩნია, რომ არ იკვეთება მაუწყებლის მიერ იმ ნორმების დარღვევა, რომელსაც დაინტერესებული პირები მიუთითებენ შემდეგ გარემოებათა გამო:

- სადავო სიტყვები წარმოთქმული იყო რესპონდენტის მიერ, რაზეც მაუწყებელი და ჟურნალისტი არ აგებს პასუხს
- რესპონდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოთქმული იყო პოლიტიკურ თემაზე და კონტექსტში, პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების ფარგლებში. რესპონდენტის ციტატა: *„ვიღაც ებრაელ აფერისტს მოშეს მისცეს [ივანიშვილმა] მილიონ ორასი ათასზე მეტი, რომ ეს ბილბორდები დაამზადოს დაჯღანული სახეებით, რომლებიც თბილისში გამოფინეს. ერთი სიტყვით, ისინი [„ქართული ოცნება“] არიან სულ პანიკაში, ხან რას იგონებენ, ხან რას“.*
- რესპონდენტმა სიტყვებით „აფერისტი ებრაელი“, დაახასიათა ერთი კონკრეტული პიროვნება, მის მიმართ ნეგატიური განწყობის გამო და არა მისი წარმომავლობის გამო.
- რესპონდენტმა საკუთარი აზრი გამოხატა კონკრეტული პიროვნების მიმართ ნეგატიური კონტექსტით არა მისი წარმოშობის, არამედ მისი საქმიანობის გამო.
- რესპონდენტის ნეგატიური დამოკიდებულება ადრესატის მიმართ მოჰყვა რესპონდენტის აღელვებას. აღელვება გამოწვეული იყო ადრესატის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების დროს წარმოებული კამპანიის გამო, რომლის ფარგლებში დამზადებულ და ქუჩაში გამოკრულ იქნა ე.წ ბილბორდები. აღნიშნულ „ბილბორდებზე' სხვებთან ერთად, გამოსახული იყო თავად რესპონდენტი [მ. სააკაშვილი]. ბილბორდები იყო თავის მხრივ, სიძულვილის გამღვივებელი, სიტყვებით „არა ნაცებს! არა ბოროტებას!". შესაბამისად, რესპონდენტმა თავისი განცხადებით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება კონკრეტული პიროვნებისადმი, აღნიშნული პიროვნების მიერ განხორციელებული ქმედების გამო, რომელიც თავად რესპონდენტს ეხებოდა.

- სადავო სიტყვების გაჟღერების შემდეგ, რესპონდენტმა თავადვე შეცვალა საუბრის თემა და არ გაუგრძელებია ებრაელ ხალხზე დისკრიმინაციული ან ანტისემიტური საუბარი.
- ჟურნალისტმა არ ჩათვალა, რომ ეს იყო რასისტული გამონათქვამი, ვინაიდან რასიზმად ითვლება: წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი ადამიანთა დაჯგუფების მიმართ ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით (კანის პიგმენტაცია, სახის ტიპიური ნაკვთები, თმის, მეტყველების, მანერების თავისებურებები და სხვა ეთნიკური მახასიათებლები), რომელიც მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ არ ასახავს ისეთ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან თვისებებს, როგორიცაა ამ ადამიანთა შესაძლებლობები და სარგებლიანობა.
- კომისიამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რესპონდენტმა მოგვიანებით, თავადვე გააკეთა განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ მას ებრაელების საწინააღმდეგო არაფერი არ აქვს: *„...მე ვერანაირი პრობლემა ვერ მექნება ებრაელებთან. მაგრამ დიდი პრობლემა მაქვს ამ კონკრეტულ სუბიექტთან, რომელიც ჩამოვიდა ქვეყანაში, რომელზეც არაფერი იცის და ფულის გულისთვის ცდილობს მის საბოლოოდ მოსპობაში მონაწილეობის მიღებას. მინდა განსაკუთრებით არაინფორმირებულთათვის განვმარტო, რომ ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ებრაელებს. მათ შორისაა ჩემი ებრაელი რძალი. მაგრამ, რეალობა არის შემდეგი: საქართველოში გვაქვს აფერისტების შემოსევა...ასე რომ მოქალაქეობა ამათ [აფერისტებს] ყველას სხვადასხვა აქვთ, მაგრამ საქმიანობას ერთნაირს ეწევიან. ამიტომ, მოდით ამ აფერისტების საერთაშორისო კონსორციუმში ნუ გავურევთ ნურც ებრაელ და ნურც ქართველ ერს. და კიდევ, 2 კვირის „მუშაობაში“ ივანიშვილმა ამას [მოშე კლუგჰაფტს] გადაუხადა მილიონრვაასი ათასი და პენსიონერებს თვეში უხდის 180 ლარს“.* აღნიშნული განცხადებით რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოთქმული ფრაზა „აფერისტი ებრაელი“ არ იყო მიმართული მთლიანად ეთნოსის, ებრაელი ხალხის მიმართ, არამედ ის ახასიათებს ერთ კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც ეროვნებით ებრაელია, ხოლო მისი დახასიათებით და ეთნოსის აღნიშვნით, კონკრეტული პირის მიერ წარმოთქმული ფრაზით ანტისემიტიზმის განზრახვა ნაკლებად აღინიშნება.

კომისია აღნიშნავს, რომ აზრისა და გამოხატვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას“.

დადგენილია, რომ გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკული შეფასებების, მსჯელობებს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას, არამედ გამოხატვის ხერხებს, ფორმებსაც. შესაბამისად აზრი, შეფასება, მსჯელობა შესაძლოა გამოხატული იყოს ცინიზმით, სარკაზმით, იუმორით, პაროდიით და/ან სხვა ფორმით, რაც პირის გამოხატვის თავისუფლების ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

კომისია მოიხმობს სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას, რომლითაც დადგენილია პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული სტატუსი და მისი ფართო დაცვა კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში.

„სასამართლო აღიარებს, რომ პოლიტიკური გამოხატვა საჭიროებს დაცვის აღმატებულ ხარისხს....“ გამოხატვის თავისუფლების პრინციპი „განსაკუთრებით ძლიერია, როდესაც საქმე ეხება დებატებს პოლიტიკურ სფეროში, რაც ბუნებრივია, ვინაიდან პოლიტიკური დებატები დემოკრატიის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.“ „გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ყველასთვის ძვირფასია, განსაკუთრებულია ხალხის რჩეულისთვის; ის წარმოადგენს ამომრჩეველს, გამოხატავს მის პრობლემებს და იცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ოპოზიციური დეპუტატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში სასამართლოს კონტროლი განსაკუთრებით მკაცრია. პოლიტიკური საქმიანობის სფეროში, ევროსასამართლოს მიხედვით, ის იდეებიც დაცულია, რომლებიც შესაძლოა, შემაშფოთებელი და მიუღებელი იყოს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, თუ აღნიშნული იდეების გამოხატვა ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და პოლიტიკური დისკუსიის ნაწილს წარმოადგენს: „დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური პროექტების შემუშავება და განხილვა, მაშინაც კი, როდესაც ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს ამჟამინდელ მოწყობას, იმ პირობით, რომ ისინი არ ისახავდეს მიზნად თავად დემოკრატიის დაზარალებას“. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ დებატებს, საზოგადოებისთვის საინტერესო იდეების და მოსაზრებების განხილვას, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მაშინაც კი, როდესაც პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე გამოთქვამს ბევრისთვის მიუღებელ და აღმაშფოთებელ მოსაზრებებს, მის მიმართ სანქციების გატარება კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს“[5]

სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი ამ პრინციპის პარალელურად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ასევე არსებობს ისეთი საქმეებიც, როდესაც პოლიტიკური სიტყვის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებებზე ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მართებულად მიიჩნია შიდა სახელმწიფოების მიერ მომჩივანი აპლიკანტების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ. თუმცა, ასეთი საქმეები ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც პოლიტიკური გამოხატვის პერიმეტრი აშკარად სცილდებოდა კონვენციით დაცულ სტანდარტს და აპლიკანტების მიერ გამოთქმული დისკრიმინაციული, სიძულვილის ენის წამქეზებელი, ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული განცხადებები ეხებოდა გარკვეული ჯგუფების უსაფრთხოებას, მოუწოდებდა რელიგიურ, ეთნიკურ ან კულტურულ სტერეოტიპებზე დაფუძნებულ სიძულვილისკენ, საფრთხის შემცველი იყო დემოკრატიული სახელმწიფოების სოციალური მშვიდობის და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. მოცემულ შემთხვევაში, კომისიას მიაჩნია, რომ სიტყვები „ებრაელი აფერისტი“ არ შეიძლება განხილულ იქნეს ამგვარ შემთხვევად.

[5] https://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf

კომისია თვლის, რომ მაუწყებელს და მის ჟურნალისტს არ დაურღვევია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი ნორმები, რადგან აღნიშნული გადაცემა მიზნად არ ისახავდა ებრაელი ხალხის დისკრიმინაციას რაიმე ნიშნით. თუმცა, თვითრეგულირების კომისიის მიზანია მაუწყებლის საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება და დისკრიმინაციის აღმოფხვრაში მედიის პასუხისმგებლობის გათვალისწინება. შესაბამისად, თვითრეგულირების თვითმიზანი არ არის ვინმეს, მათ შორის, ჟურნალისტის, დასჯა და დარღვევის დადგენა, არამედ სწორედ მაღალი პროფესიული სტანდარტის დამკვიდრებისა და გაძლიერებისთვის შესაბამისი ზომების გატარება. ამ სტანდარტის დანერგვისა თუ გამყარების მიზნით, კომისიამ დასვა კითხვები, რა ღონისძიებების გატარება შეეძლო ჟურნალისტს რესპონდენტის მხრიდან სადავო ფრაზების გასანეიტრალებლად.

კომისია აღნიშნავს, რომ მაუწყებელი ვერ შეუზღუდავს სხვა პირს გამოხატვის, თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს უნდა დაიცვას ის მაღალი სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს მაუწყებლის მხრიდან დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების გაღვივების თუნდაც აღქმის შესაძლებლობის გამორიცხვას. ჟურნალისტმა უნდა მიიღოს შესაძლო გონივრული ზომა ამგვარი აღქმის გამოსარიცხად. ამ მიზნით, კომისიამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ჟურნალისტს არ ჰქონდა საშუალება რესპონდენტის ინტერვიუ რაიმე საშუალებით შეეცვალა.
- ვინაიდან რესპონდენტს მსგავსი ფრაზა გადაცემის მსვლელობის დროს არ გაუმეორებია, ჟურნალისტს არ გასჩენია საფუძვლიანი ეჭვი განცხადების ანტისემიტურ შინაარსზე და განზრახვაზე.
- განცხადება იყო ემოციურ ფონზე გამოთქმული მოსაზრება პირადად ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ.
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.“ მოცემული ნორმიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჟურნალისტი არ აჰყოლია მსგავს იდეოლოგიას, მაგრამ არც კითხვის დასმის საშუალება მიეცა, რადგან რესპონდენტი თავად გადავიდა სხვა თემაზე სასაუბროდ.

გადაცემაში რესპონდენტის მიერ გაჟღერებული პირადი შეფასებები პოლიტიკური ოპონენტების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ არ უნდა იქნეს გაიგივებული მაუწყებლის პოზიციასთან. თუმცა, კომისია მიიჩნევს, რომ თუკი რესპონდენტის მხრიდან ადგილი ექნება სავარაუდო დისკრიმინაციულ გამონათქვამს, სასურველი იქნება ჟურნალისტის მხრიდან აშკარა დისტანცირება ამ გამონათქვამისგან. ჟურნალისტების ქმედება უნდა იყოს მიმართული არა მხოლოდ სავარაუდო

დისკრიმინაციული გამონათქვამების განეიტრალებისკენ, არამედ ჟურნალისტის რეაგირება უნდა იყოს მკაფიო და ადვილად ხდებოდეს ჟურნალისტის მიერ დისტანცირების აღქმა, რათა არ დარჩეს საკმარისი სივრცე, არა მხოლოდ დაუინტერესებელი და ნეიტრალური დამკვირვებლის, არამედ უფრო მაღალი სტანდარტით - მოწყვლადი კატეგორიის პირების მიერ, რომ ჟურნალისტის მხრიდან გაზიარებულ იქნა რესპონდენტის მიერ დისკრიმინაციული გამონათქვამი.

მიუხედავად იმისა, რომ თავად კომისია არ მიიჩნევს ჟურნალისტის ქმედებას „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაინტერესებული პირების მოთხოვნის დაკმაყოფილება და გადაცემის ჟურნალისტისთვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა - მომავალში პირდაპირი ეთერის დროს გამოიყენონ ისეთი თვალსაჩინო ხერხები, რომლითაც მაყურებლისთვის/მსმენელისთვის უფრო ნათელი იქნება ჟურნალისტის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან დისტანცირება და/ან რომლითაც ადვილად იდენტიფიცირებადი იქნება ჟურნალისტის მცდელობა აღარ მისცეს რესპონდენტს სავარაუდო დისკრიმინაციული გამონათქვამების გაჟღერების შესაძლებლობა და/ან მიმართოს სხვა ისეთ ხერხებს, რომლითაც ჟურნალისტი შეძლებს თავიდან აიცილოს რესპონდენტის გამონათქვამებთან მაუწყებლის გაიგივება. ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ხერხები უნდა იყოს აღქმადი ყველაზე მაღალი სტანდარტით - მოწყვლადი კატეგორიის თემის/პირთა ჯგუფის მიერაც კი.

კომისიამ იხელმძღვანელა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივარში მითითებული გარემოებების გაანალიზების და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად გადაწყვიტა:

სარეზოლუციო ნაწილი

1. კომისია არ თვლის, რომ დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი". თუმცა, კომისიის აზრით, მაინც დარჩა საკმარისი სივრცე, რომ ჟურნალისტის ქმედება არასაკმარისად ყოფილიყო აღქმული.
2. დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ ოდიკაძის და გიგა ბახტაძის საჩივარი და ჟურნალისტს მიეცეს რეკომენდაცია - მომავალში, პირდაპირი ეთერის დროს, რესპონდენტის მიერ გაკეთებული სავარაუდო დისკრიმინაციული განცხადების გაკეთებისას, გამოიყენოს თვალსაჩინო ხერხები, რომლითაც შეძლებს სავარაუდო დისკრიმინაციული განცხადებებისგან დისტანცირებას და/ან შეაფერხებს ამგვარი განცხადებების გავრცელებას, რათა არ მოხდეს იმგვარი შეფასებების გაკეთება, რაც შესაძლოა აღქმულ იქნას დისკრიმინაციულად კომისიის მიერ გადაწყვეტილებაში დადგენილი ყველაზე მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით.
3. გადაწვეტილება გაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ჟურნალისტს.

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რუსთავი2 -ის ვებ გვერდზე: http://rustavi2.ge/ka/tvg2[6]
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირების მიერ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში, თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ზ. ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ. №5ა.)

კომისიის წევრები:

თამთა მურადაშვილი

დიმიტრი საძაგლიშვილი

დაჩი ბერუჩაშვილი

ლიკა მეტრეველი

[6] გრაფაში „ჩვენს შესახებ“-„თვითრეგულაცია“-„გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები“